http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

“დინამო” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) - 0:2 (0:2)

30 აგვისტო. ლენინგრადი. ლენინის სახ. სტადიონი. 40 000 მაყურებელი.

მსაჯი: სტრეპიხეევი (მოსკოვი).

გოლები: 0-1 პაიჭაძე (38), 0-2 სომოვი (67).

“დინამო” (ლენინგრადი): კუზმინსკი, დენისოვი, კისელიოვი, ეგოროვი, ვალ. ფიოდო-როვი, კუზმინი, ვიკ. ფიოდოროვი, ალ. ფიოდოროვი, ივანოვი (ტელეგინი), ნ. დემენტევი, ბიკოვი.

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, გ. გაგუა, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ვ. ბერძენი-შვილი, სომოვი.

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

თბილისის “დინამოს” გამარჯვება

ლენინგრადი, 31 აგვისტო (ჩვენი საკ. კორ.). 30 აგვისტოს ლენინგრადის უდიდეს სტადიონზე 30 ათასი მაყურებლის თანდასწრებით შესდგა ფეხბურთის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის “დინამოს” და ლენინგრადის “დინამოს” გუნდებს შორის. თბილისელები საუცხოოდ თამაშობდნენ და ტექნიკის მაღალი კლასი გვიჩვენეს.

პირველ ტაიმში პაიჭაძემ ბრწყინვალე პასირებით ლენინგრადის კარში გაიყვანა პირველი ბურთი. მეორე ბურთი ოსტატურად გაიტანა სომოვმა მეორე ტაიმში – ჭუმბურიძის მოწოდებით. ლენინგრადელების ყველა ცდა – გაექვითებინათ ანგარიში – უშედეგოდ დამთავრდა. თბილისელების მეკარე დოროხოვმა არცერთი ბურთი არ გაუშვა. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:0 თბილისელების სასარგებლოდ.

ამ პირველი გამარჯვებით თბილისელთა გუნდმა ორი ქულით გაუსწრო ლენინგრა-დელებს. თბილისის “დინამოს” ახლა აქვს 9 ქულა 15 შესაძლებლიდან.

3 სექტემბერს თბილისის “დინამო თამაშობს ლენინგრადის “კრასნაია ზარიასთან”.

“კომუნისტი”, 1 სექტემბერი 1937 წ.